ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრების მომენტი ბაკურიანში.

ფოტო მ. ზარგარიანისა, (ჩვენი სპეც. კორ.).

ა. ივანოვა და ა. მეტრეველი — ინდოეთის ჩემპიონები

კალკუტა, 18 იანვარი. თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. ივანოვამ ინდოეთის ღია ჩემპიონატის ფინალში თანამემამულე ნ. თუხარელი დაამარცხა (6:2, 6:3) და ამ ქვეყნის პირველი ჩოგნის წოდება მოიხვეჭა. მეორე წარმატება ივანოვამ სსრ კავშირის ჩემპიონთან ა. მეტრეველთან ერთად იზეიმა. ამ დუეტმა ფინალში ისევ თანაქალაქელ სპორტსმენთა შერეულ წყვილს (თუხარელი და თ. კაკულია) სძლია — 7:5, 6:4.

სამაგიეროდ, ვაჟთა შეჯიბრების გადამწყვეტ მატჩში მეტრეველმა მარცხის სიმწარე იწვნია ინდოელ ბ. ლალთან — 7:9, 0:6, 7:5, 8:6.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 13 (4007) 20 1970 წ. იანვარი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მოცურავეებო, სტარტზე!

18 იანვარს საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა აუზში დაიწყო წლეულს პირველი მასობრივი შეჯიბრებები ცურვაში. ტურნირებში მონაწილეობენ საბჭოთა რეკორდსმენებიცა და სპორტული სკოლების, ფიზკულტურის კოლექტივების, საწარმოთა და სასწავლებლების სპორტკლუბების წარმომადგენლებიც.

— ახლა მოცურავეთა შეჯიბრებები, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კ. ინიასევსკიმ, — გადაწყვეტილი გვაქვს ჩავატაროთ სპორტულ-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. წლევანდელი სტარტები პირველი ეტაპია ასპარეზობის სამწლიანი კალენდრის ერთიან სისტემაში. ის, ვინც პირველ ეტაპზე კარგად გამოვა, შემდგომ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლებას მიიღებს და 1972 წლის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი გახდება.

სეზონი საინტერესო უნდა იყოს. 5-6 თებერვალს ჩატარდება „მხიარული დელფინის“ პირველი ფინალური შეჯიბრებები (12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის), 25-30 მარტს ლენინგრადში მოეწყობა ასპარეზობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე. ამ შეჯიბრებაში გამოვლენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ჰოლანდიის, ესპანეთის, იტალიის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები.

13-15 აპრილს ნოვოსიბირსკში დაგეგმილია სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდების მატჩი. აგვისტოში საბჭოთა ჭაბუკები და გოგონები პოლონეთს გაემგზავრებიან „ოლიმპიური იმედების“ ტურნირში სასპარეზოდ.

სექტემბერში, სსრ კავშირის ჩემპიონატის შემდეგ, რომელიც ლვოვში ჩატარდება (1-6 აგვისტო), უძლიერესი საბჭოთა მოცურავეები ევროპის ჩემპიონატში გამოვლენ.

დავეყრდნოთ დებულებას

ყოველი საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე, როგორც წესი, იწყება მწვრთნელებისა და ფეხბურთის მოყვარულთა კამათი, თუ რა მოგვიტანა განვლილმა სეზონმა, რა ნაკლოვანი მხარეები გვქონდა და ა. შ. წლეულს ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ ამართლებს თავის დანიშნულებას „ბ“ კლასი. იქმნება სხვადასხვა აზრი. ერთნი მოითხოვენ მონაწილე გუნდების რაოდენობის განახევრებას, მეორენი, პირიქით, მათი რიცხვის გაზრდის აუცილებლობას ამტკიცებენ. ჩემი აზრით, ის, ვინც გუნდების შემცირებას მოითხოვს, ცდება და აი, რატომ:

ჩვენს რესპუბლიკას „ა“ კლასში 5 გუნდი ჰყავს, რომლებიც ნიჭიერ ფეხბურთელებს საჭიროებენ, ასეთები კი სწორედ „ბ“ კლასის კოლექტივებმა უნდა აღზარდონ. როგორც პრაქტიკამ დაგვანახა, ბავშვთა საფეხბურთო სკოლების კურსდამთავრებულთა დიდი რაოდენობა ვერ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებული აქვთ „ა“ კლასის გუნდების მოთამაშეებს, „ბ“ კლასში კი ახალგაზრდა ფეხბურთელებს საშუალება ეძლევათ შეიძინონ სათანადო გამოცდილება, კიდევ უფრო ჩამოყალიბდნენ ფიზიკურად, აიმაღლონ ტექნიკა. მიმაჩნია, რომ „ბ“ კლასში თავს უნდა იყრიდნენ, აგრეთვე, რესპუბლიკის პირველობის მონაწილე გუნდების საუკეთესო მოთამაშეები და სწორედ ამიტომაა საჭირო ამ კლასს მეტი ყურადღება მიექცეს. ჩვენ ვიცით, რომ „ბ“ კლასის კოლექტივებთან არსებობს მოსამზადებელი ჯგუფები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა ფართოდ ჩაბმას ფეხბურთში. რაიონებში სწორედ ეს მოსამზადებელი ჯგუფები წარმოადგენენ ძირითად დასაყრდენს „ბ“ კლასის გუნდების შესავსებად. შეუძლებელია ბავშვთა ჯგუფებმა თავის გუნდს 2-3 ფეხბურთელი მაინც არ მისცენ სეზონში. ამიტომ გუნდების რაოდენობა კი არ უნდა შევამციროთ, არამედ უნდა გავზარდოთ. რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციამ მეტი ყურადღება და დახმარება უნდა გაუწიოს გუნდებს, ადგილებზე მიავლინოს გამოცდილი სპეციალისტები, შეამოწმოს, რა მდგომარეობაა, დაეხმაროს მწვრთნელებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. ეს, ცხადია, ხელს შეუწყობს ფეხბურთელთა შემდგომ ღ:ოსტატებას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდია. ზოგიერთს, ალბათ, დაავიწყდა, რომ დღევანდელი „ბ“ კლასის გუნდები ამ რამდენიმე წლის წინ რესპუბლიკის პირველობაში მონაწილეობდნენ, დამსახურებულად გახდნენ საქართველოს ჩემპიონები და მიიღეს საგზურები „ბ“ კლასში. ასეთები იყვნენ ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის კოლექტივები, შარშან — ვანის „სულორი“. თუ ყოველწლიურად არ მოხდა რესპუბლიკის ჩემპიონის გადაყვანა „ბ“ კლასში, თუ გარკვეულ სტიმულს არ შევუქმნით გამარჯვებულს, მაშინ რესპუბლიკის პირველობაც უინტერესო გახდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას „ბ“ კლასისთვის დამტკიცებული აქვს კარგი დებულება, რომელიც ყველასთვის კანონს წარმოადგენს, ამიტომ ზედმეტია წლის ბოლოს ატეხილი გაუთავებელი დავა იმის თაობაზე, თუ ვინ დარჩება „ბ“ კლასში და ვინ დაიკავებს მის ადგილს. ყოველივე ეს იწვევს გულშემატკივართა მითქმა-მოთქმას ფეხბურთის გაუფასურების შესახებ.

და კიდევ ერთი: დროა ბოლო მოეღოს ზონიდან ზონაში გადასვლას. საქართველოს გუნდები ხან რუსეთის ფედერაციის ზონაში გამოდიან, ხან ამიერკავკასიის ზონაში. ცხადია, ეს აქვეითებს თამაშის კლასს, იკარგება მაყურებელი. ჩვენს ზონას მოაცილეს გამოცდილი გუნდები: პიატიგორსკის „მაშუკი“, ნოვოროსიისკის „ცემენტი“, კისლოვოდსკის „ნარზანი“ და სხვ. სამაგიეროდ, მათ ნაცვლად თამაში გვიხდება „ბ“ კლასისთვის უსუსურ კოლექტივებთან, რაც აფერხებს ფეხბურთელთა ზრდას. ესენი არიან ნახიჭევანის, სტეფანაკერტის, ზაქათალის, კაფანის გუნდები, რომლებთან შეხვედრებსაც ჩვენთვის დროის დაკარგვის მეტი არაფერი მოუცია.

დროა საბოლოოდ გადაწყდეს „ბ“ კლასში ასაკობრივი შეზღუდვის საკითხიც. ჩემი აზრით, გუნდებს ნება უნდა მიეცეთ მინდორზე გამოიყვანონ 9 კაცი 26 წლის ასაკამდე და 2 — ამ ასაკს ზევით.

შ. კაკაბაძე,

ლანჩხუთის „გურიის“ მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის

თასი გათამაშდა, ნაკრების შემადგენლობა ...უცნობია

სათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების საბოლოო სახე ბაკურიანში, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების შედეგებს უნდა ჩამოეყალიბებინა.

რატომ მაინცდამაინც ბაკურიანზე შეჩერდა არჩევანი? თავისი ბუნებრივი პირობებით სწორედ ჩვენი რესპუბლიკის ეს სამთო კურორტი ყველაზე მეტად უახლოვდება ჩეხოსლოვაკიის ტატრებს, სადაც თებერვალში მსოფლიო პირველობა აიღებს სტარტს.

ხტომაში თასის გათამაშება 18 იანვრისთვის იყო დაგეგმილი. ახალი, 90-მეტრიანი ტრამპლინის მშენებლებმა ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის დახმარებით შეძლეს საქმის დროულად დამთავრება, ტურნირის მონაწილე გუნდები ჩამოდიოდნენ, თოვლი კი არ კმაროდა. არა და, ტრამპლინზე საცდელი ვარჯიში ტურნირამდე ერთი კვირით ადრე მაინც უნდა გამართულიყო, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ნაკლი გამოესწორებინათ. რესპუბლიკის სათხილამურო სპორტის ფედერაციამ და ბაზა-პანსიონატ „სპორტის“ დირექციამ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტების, ბაკურიანელი ახალგაზრდების, სპორტსმენების დახმარებით თითქმის შეუძლებელი შეძლეს — ტრამპლინის მოსაწყობად თოვლი მარხილებითა და ტომრებით მოზიდეს. და მაშინ, როცა თითქმის ყველაფერი მზად იყო... ხვავრიელად მოთოვა.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

გამარჯვება მსოფლიო რეკორდებით

ალმა-ათა, 18 იანვარი. მედეუს მაღალმთიან საციგურაოზე დღეს, მშვენიერ ამინდში (ტემპერატურა პლუს 2 გრადუსი), ლენინგრადელი ნ. სტატკევიჩის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა სსრ კავშირის მოციგურავე ქალთა პირველობა. ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ამ 25 წლის ნიჭიერმა სპორტსმენმა მრავალჭიდში ახალი მსოფლიო რეკორდით დაიგვირგვინა — 184,085 ქულა. აბსოლუტური ჩემპიონობა სტატკევიჩმა პირველად მოიხვეჭა. მისი შედეგი 1.415 ქულით სჯობს ჰოლანდიელი ა. სხუტის ძველ მსოფლიო მიღწევას და 4,948 ქულით — ი. არტამონოვას თითქმის 8 წლის წინანდელ საკავშირო რეკორდს.

სტატკევიჩმა ოქროს მედლები მოიპოვა, აგრეთვე, 1500 მეტრზე (2.17,82 — მსოფლიო რეკორდი) და 300 მეტრზე (4.54,63 — საკავშირო რეკორდი) რბენაში. მან ვერცხლის მედალი მოიგო 500 მეტრზე (43,32) და ბრინჯაოსი — 1000 მეტრზე (1.31,44) რბენაში.

მრავალჭიდში II ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონმა ლ. კაუნისტემ (რიგა) — 187,670 ქულა, ხოლო III — სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა ლ. მოხნაჩოვამ (მოსკოვი) — 188,253.

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის

თასი გათამაშდა, ნაკრების შემადგენლობა ... უცნობია

დასასრული

ტრამპლინმა ბრწყინვალედ ჩაბარა გამოცდა. ეს სსრ კავშირის თასის გათამაშებამაც დაადასტურა. ბაკურიანის მშვენებას მაღალი შეფასება მისცეს სათხილამურო სპორტში საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ, წარსულში ცნობილმა მხტომელმა ვ. ანდრეევმა, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა, ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. წაქაძემ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. ნაპალკოვმა. ლენინგრადელმა მწვრთნელმა, ჩვენი ქვეყნის ბევრი საუკეთესო მხტომელის (მათ შორის, კ. წაქაძის) აღმზრდელმა პ. დემენტიევმა თქვა: ევროპაში ასეთი კარგი ტრამპლინი მხოლოდ შამონიში (საფრანგეთი) მეგულებაო.

ერთი სიტყვით, კარგი ტრამპლინი კარგი შეჯიბრების მასპინძლობას აპირებდა. თასისთვის მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, რსფსრ-ს ოლქების 17 გუნდი აცხადებდა პრეტენზიას. ყველა კოლექტივს 4-4 სპორტსმენი გამოჰყავდა, ეს კი მაყურებელს კარგ სანახაობას პპირდებოდა. საქართველოში ასეთი დიდი შეჯიბრება სსრ კავშირის ზამთრის სპარტაკიადის შემდეგ აღარ ჩატარებულა. ამიტომაც იმტერესი განუზომელი იყო, მაგრამ ბევრს იმედი გაუცრუდა.

რა მოხდა? გ. ნაპალკოვს, ა. ქეგლანოვს, ა. ივანიკოვსა და ვ. სმირნოვს კლუბგენტალში (გდრ) „მეგობრობის თასის“ ტურნირზე დაგვიანებისა ეშინოდათ, ამიტომ საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობამ ბაკურიანის ასპარეზობის ერთი დღით ადრე — 17 იანვარს გამართვა მოითხოვა. სწორად მოიქცნენ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, რესპუბლიკის სათხილამურო ფედერაცია, შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. ბალაევიჩი, როცა ეს მოთხოვნა შორს დაიჭირეს: ტურნირის დღედ 18 იანვარია გამოცხადებული და ათასობით მაყურებლის მოტყუება უსერსულიაო. მაგრამ შემდეგ ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი ჩაერია საქმეში და სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშებაც გასულ შაბათს შედგა. ტურნირისადმი უდიდეს ინტერესს ისიც ადასტურებს, რომ ასპარეზობის სანახავად მაინც ბევრი გულშემატკივარი ჩამოვიდა თბილისიდან, ბორჯომიდან, ხაშურიდან, გორიდან და სხვა ქალაქებიდან.

შეჯიბრების დაწყებამდე ვეკითხებოდ ვ. ანდრეევს და ვკითხეთ, კმაყოფილია თუ არა „4 ტრამპლინის ტურნეს“ შედეგებით, ვინ არიან მომავალი მსოფლიო პირველობის მონაწილე გუნდის კანდიდატები?

— 4 ტრამპლინის ტრადიციული ტურნეს შედეგებს ვერ დავემდურებით, — თქვა ვ. ანდრეევმა. — განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ნაპალკოვი და ქეგლანოვი. მეტს ველოდით ოლიმპიური ჩემპიონისგან ვ. ბელოუსოვისგან, მაგრამ მას ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. თვის შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ სმირნოვი და ივანიკოვი. რაც შეეხება მსოფლიო პირველობის მონაწილე ნაკრების შემადგენლობას, 5 სპორტსმენიდან 3 კანდიდატი (ნაპალკოვი, ბელოუსოვი, ქეგლანოვი) უკვე შერჩეულია. ივანიკოვმა უხეირო შედეგებით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თავისი კანდიდატურა. მან აქაც უნდა იბრძოლოს საგზურისთვის. ბაკურიანის შეჯიბრებამ უნდა შეარჩიოს გუნდის მეხუთე წევრიც.

— როგორ ფიქრობთ, ვის გაუღიმებს ბედი?

— ტრამპლინიდან სტომაში ბედისა არ მჯერა. ისე კი, მეოთხე და მეხუთე საგზურების კანდიდატებად მიმაჩნია წაქაძე, ახალგაზრდა ვ. შჩერბაკოვი, ივანიკოვი, ა. გალკინი, თუმცა, ვინ იცის... ხვალ ყველაფერი გაირკვევა.

... სპორტსმენები სიძლიერის მიხედვით ოთხ ჯგუფად დაიყვნენ. ამასთან, ყველა გუნდს თითო ჯგუფში თითო მხტომელი გამოჰყავდა. საუკეთესოებმა მეოთხე ჯგუფში მოიყარეს თავი და ბრძოლაში ბოლოს ებმებოდნენ. საქართველოს კვარტეტი ასეთი იყო: წაქაძე, ბ. მჭედლიანი, ა. გავა, გ. თვაური. შეჯიბრებას ბოლომდე მხოლოდ წაქაძე და თვაური შერჩნენ. მჭედლიანსა და გავას პირველ ცდაზე დამაკმაყოფილებელი შედეგები ჰქონდათ, მაგრამ ბრძოლა ველარ გაგრძელეს.

თასი გორკის კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილზე გავიდნენ ლენინგრადელები, III — მოსკოველები.

რაც შეეხება პირად ტურნირს, იგი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. ასპარეზობის დაწყებამდე მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. სანაძე და სათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ანდრეევი.

ალმის აღმართვის შემდეგ სპორტსმენებს მსაჯთა კოლეგიამ თითო საცდელი ნახტომის შესრულების უფლება მისცა. 64 მოთხილამურე გაემართა დაშვების კოშკისკენ. დაზვერვაში საუკეთესო იყო წაქაძე. მან 101,5 მეტრზე იფრინა და სტილშიც მაღალი შეფასება მიიღო. ნაპალკოვი (გორკი) 99 მეტრზე გადახტა, ქეგლანოვი (ლენინგრადი) — 97,5 მეტრზე, ივანიკოვი (მოსკოვი) — 95 მეტრზე. იგრძნობოდა, რომ მათ არც სხვები ჩამოუვარდებოდნენ. ამასთან, მთავარ ძალებს ისინი ძირითადი ბრძოლებისთვის — 2-2 ჩასათვლელი ნახტომისთვის ინახავდნენ.

— სტარტზეა № 1 მონაწილე გ. კოროპნიჩენკო (მინსკი)! — გამოაცხადა დიქტორმა და იმის ნიშნად, რომ სპორტსმენს გზა ხსნილი ჰქონდა, მწვანე შუქნიშანი ჩართო.

პირველი საუკეთესო ნახტომის ავტორი გახდა შჩერბაკოვი (გორკი) — 104 მ (მან შედეგისა და კარგი სტილისთვის 113,5 ქულა მიიღო). ეს მაჩვენებელი გახდა ორიენტირი უძლიერესებისთვის. შჩერბაკოვის შედეგი პირველ ცდაზე მხოლოდ ორმა სპორტსმენმა გააუმჯობესა. ნაპალკოვმა 106 მეტრი აჩვენა, მაგრამ მიწაზე დაშვებისას წონასწორობა დაკარგა, თოვლს ხელით შეეხო (რეკორდი არ ჩაეთვალა) და მსაჯებმა სტილში მას მხოლოდ 104,3 ქულა მისცეს. ვ. კლიმენკომ (ტომსკის ოლქი) ნაპალკოვს აჯობა — 108 მეტრზე გადახტა, მაგრამ დაეცა და... სტილში 30 ქულა დაკარგა. ამიტომ ვერ მოხვდა იგი ლიდერთა ჯგუფში.

გაყინული ბილიკისა და მოთხილამურეთა მაღალი ტექნიკის წყალობით სპორტსმენები საათში საშუალოდ 120 კმ სისწრაფით მიფრინავდნენ. მაგალითად, წაქაძემ პირველ ცდაზე 100 მეტრი 3 წამში დაფარა (სტილში 110,9 ქულა მიიღო). მას ნახევარი მეტრით აჯობეს ქეგლანოვმა (სტილში 114,1 ქულა მიიღო) და ივანიკოვმა (111,1 ქულა).

მუდამ ასეა, ტრამპლინიდან მხტომელები მთელ თავიანთ მონდომეას ბოლო ცდაში აჭსოვენ: ერთნი — პოზიციების შესანარჩუნებლად, მეორენი — სატურნირო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საუცხოო სრიალი სპორტსმენებს საფრთხით ემუქრებოდა, ამიტომ მსაჯთა კოლეგიამ დამვების არე ერთი საფეხურით დაამოკლა. ცხადია, იკლო შედეგებმაც. შჩერბაკოვი ამჯერად 101 მეტრზე გადახტა, ქეგლანოვი კი 99 მეტრზე. მხოლოდ კოპა დარჩა ტრადიციის ერთგული — ისევ 100 მეტრზე გადახტა, მაგრამ ძვირად დაუჯდა ეს, ფრენისას წონასწორობა დაკარგა და სტილში დაჯარიმდა — 107,9 ქულა მიიღო.

სამაგიეროდ, შეუდარებელი იყო ნაპალკოვი, მეორე ცდაზე მან შეუცდომლად იფრინა 102 მ და სტილშიც ძალიან მადალი შეფასება (118,2 ქულა) დაიმსახურა. საბოლოოდ მან 222,5 ქულა მოაგროვა და VIII ადგილიდან III ადგილზე გადაინაცვლა.

I ადგილი დაიკავა ქეგლანოვმა — 226,6 ქულა, II — შჩერბაკოვმა — 223,8, IV — წაქაძემ — 218,8, V — ივანიკოვმა — 214,5, VI — ვ. გალკინმა (ლენინგრადი) — 210,1.

— ვინ წავა მსოფლიო პირველობაზე? — მივმართეთ ანდრეევს ტურნირის დამთავრების შემდეგ.

—ნაკრების მეოთხე და მეხუთე წევრების ვინაობა ჯერჯერობით კვლავ უცნობია. ამას ფედერაცია გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად გადაწყვეტს რამდენიმე დღეში. მიზეზი? ხვალ ბაკურიანის თასის გათამაშებაა. სარბიელზე, კლინგენტალში წამსვლელთა გარდა, ყველა გამოვა და, ვფიქრობთ, ამ შედეგებსაც მივიღებთ მსედველობაში.

რევანში მეორე დღეს

სსრ კავშირის თასის გათამაშებამ ესტაფეტა მეორე დღეს ბაკურიანის თასზე გამართულ ტურნირს გადასცა. მართალია, ნაპალკოვი, ქეგლანოვი, სმირნოვი და ივანიკოვი სარბიელზე არ გამოსულან, მაგრამ ასპარეზობა უფრო წარმომადგენლობითი იყო — ტურნირი პირადი გახლდათ, ჯილდოები — მეტი. ერთი სიტყვით, სტარტზე 70-ზე მეტი „მფრინავი მოთხილამურე“ გამოვიდა.

წილისყრამ წაქაძეს ერთ-ერთი ბოლო ნომერი არგუნა. ეს მას საშუალებას აძლევდა მეტოქეთა მაჩვენებლების გათვალისწინებით ებრძოლა და წინადღის ერთგვარი წარუმატებლობა ახლა გამოესწორებინა (სინამდვილეში ეს წარუმატებლობა არ იყო, მაგრამ ვეტერანისგან მუდამ საპრიზო ადგილებს მიჩვეულნი IV ადგილს ველარ ვურიგდებოდით).

თავიდან დაწინაურდნენ კლიმენკო და ი. ზუბარევი (ლენინგრადი) — ორივე 99 მეტრზე გადახტა. სტილში მცირე უპირატესობა კლიმენკოს ჰქონდა და შეჯიბრების ლიდერიც ის გახდა. მათ „ფეხდაფეხ“ მისდევდა ტ. ლაევი (ესტონეთი), მაგრამ...

— წაქაძის შედეგია 102,5 მეტრი, — გამოაცხადა დიქტორმა. მისი ხმა ტაშმა დაფარა, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა მსაჯთა კოლეგიამ წაქაძეს სტილში უმაღლესი შეფასება მისცა. ქართველი სპორტსმენი შეჯიბრების ლიდერი გახდა.

მაგრამ მეტოქენი დანებებას როდი აპირებდნენ. კლიმენკო, რომელსაც ლიდერობა ხელიდან გამოაცალეს, მეორე ცდაზე 101 მეტრზე გადახტა, 218,8 ქულა მოაგროვა და წაქაძის გამარჯვების საკითხი ისევ საეჭვო გახადა. საკმარისი იყო, კობას ოდნავ შეესუსტებინა ყურადღება, რომ კლიმენკოს შეუწყობდა ხელს. მაგრამ არა, ვეტერანი იმ დღეს რევანშისთვის იყო განწყობილი. მეორე ცდით მან 107,5 მ აჩვენა და ტრამპლინის ახალი რეკორდი დაამყარა. ორი ნახტომის ჯამში 239,8 ქულა ნათლად მეტყველებს, რომ წაქაძეს ფრენის სტილიც შეუდარებელი ჰქონდა.

ბაკურიანის თასი, რომელიც ტრამპლინის მშენებლებმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა დაუწესეს, წაქაძეს დარჩა. მანვე მიიღო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპეციალური პრიზი — ყველაზე გრძელი ნახტომისთვის, აგრეთვე, ბორჯომის ფიზკულტურის კომიტეტისა და „ვანთიადის“ რაისაბჭოს სპეციალური პრიზები. ბორჯომის მინერალური წყლების პრიზი — ახალგაზრდებში საუკეთესოს — გადაეცა დ. ტიკენბერგს, რომელიც საერთო V ადგილზე გავიდა. III ადგილი დაიკავა ზუბარევმა — 215 ქულა.

ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა სათხილამურო სპორტში ფ. ნავერიანმა შეჯიბრების დამთავრებისას გვითხრა: განზრახული გვაქვს ბაკურიანის პრიზის გათამაშება ტრადიციად ვაქციოთ და მომავალში ამ ტურნირში მსოფლიოს უძლიერესი „მფრინავი მოთხილამურეები“ მოვიწვიოთო.

ნეტამც!

ო. ბელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

* * *

სურათებზე: (მარჯვნივ) — **ბაკურიანის 90-მეტრიანი ტრამპლინის ხედი;** მარცხნივ— **თასის მფლობელი, გორკის გუნდი** (მარცხნიდან) — **ვ. ვერეტენიკოვი, გ. ნაპალკოვი და ვ. შჩერბაკოვი.**

ფოტო მ. ზარგარიანისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

70

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

პირველი ნრე ციფრებში

„სტროიტელი“ (კიევი)	თ. 11	მ. 9	წ. 2	ბ. 925—794	ქ. 9
	მატჩი	წუთი	ჯარიმა	ქულა	
1. პოლივოდა	11	346	43	238	
2. ვალტინი	11	365	34	188	
3. ფილოზოფი	11	265	39	117	
4. გლადუნი	11	394	35	103	
5. სმოლიაკოვი	11	359	40	91	
6. კოვალენკო	4	120	15	66	
7. მარტინოვი	9	83	19	30	
8. კოპიჩკო	8	84	25	24	
9. ზაბროდა	8	52	13	24	
10. სტარჩაკი	5	33	8	13	
11. ლუშნენკო	6	12	2	13	
12. შაბლინსკი	10	63	11	12	
13. ვასიუტინსკი	7	29	9	6	

„სტროიტელი“ „გატანილი“ ქულებით II ადგილზეა (925) მოსკოვის „დინამოს“ შემდეგ, აქვს ბურთების ყველაზე კარგი ბალანსი (+131). უკრაინელებმა შინ 6 შეხვედრა ჩაატარეს და 5 მოიგეს (დამარცხდნენ კიევის არმიელებთან). სტუმრად „სტროიტელმა“ ხუთჯერ ითამაშა და 4 ქულა აიღო. ჩემპიონატის ლიდერი ყოველ მატჩში საშუალოდ 84 ქულას აგროვებს, მისი პასივი კი ასევე ყოველ შეხვედრაში 72 ქულას შეადგენს.

ცსკა	თ. 11	მ. 9	წ. 2	ბ. 912—753	ქ. 9
	მატჩი	წუთი	ჯარიმა	ქულა	
1. ანდრეევი	11	359	27	223	
2. ს. ბელოვი	11	360	16	154	
3. კაპრანოვი	11	258	32	118	
4. სიდიაკინი	9	166	35	73	
5. ვოლნოვი	10	190	32	71	
6. უარმუხამედოვი	8	164	34	60	
7. ბლიკი	11	198	33	53	
8. ილიუკი	7	87	15	37	
9. კოვირკინი	9	87	32	36	
10. სელიხოვი	9	129	31	32	
11. მედვედევი	7	56	13	21	
12. მილოსერდოვი	4	42	12	14	
13. ნესტეროვი	4	33	8	12	
14. კულკოვი	6	65	18	6	
15. ხარჩენკოვი	1	7	1	2	

ცსკა III ადგილზეა „გატანილი“ ქულებით (912) და მეორეზე — გატანილისა და მიღებულის სხვაობით (+119). არმიელებმა შინ 6 მატჩი ჩაატარეს და 5 მოიგეს (დამარცხდნენ მოსკოვის დინამოელებთან), სტუმრად გმართულ ხუთ თამაშში კი 4 ქულა აიღეს. ცსკა ყოველ მატჩს საშუალოდ ასეთი შედეგით ამთავრებდა — 83:72.

მათი არდავიწყებისა იყოს...

ახლაც თვალწინ გვიდგას

როცა „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე გაიმართა საუბარი „ძველი და ახალი ფრენბურთის“ რუბრიკით, საუბარი ძველებურ, სამამულო, საბჭოთა სტილის ფრენბურთის ბრწყინვალების შესახებ და ბევრჯერ მოგონეს ძველი კორიფეების—რევას, იაკუშევის, პიმენოვის (გალინსკის წერილში), ლომინაძის, სავინის (დუხოვნის წერილში) შესანიშნავი თამაში, მინდა მეც, „ძველი“ ფრენბურთის ადეპტთა რიგებში მყოფმა, მოგაგონოთ საბჭოთა ფრენბურთის ერთ-ერთი ვეტერანი, სამამულო ომის წინა წლებში თბილისის მაყურებელთა საყვარელი სპორტსმენი ალექსანდრე იაკუშევი, რომელიც შარშან ძალზე ნაადრევად, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გამოესალმა წუთისოფელს.

ალიოშა იაკუშევი 1936 წელს გადმოვიდა მოსკოვიდან თბილისში, მაშინ საბჭოთა ფრენბურთის ასპარეზზე კარგად ცნობილ გუნდში — თბილისის „ნაუკაში“ გუნდის კაპიტნის, სახელმოხვეჭილი სპორტსმენის კ. ლომინაძის მოწვევით. გუნდში ლომინაძესთან ერთად თამაშობდნენ იმ დროის კარგად ცნობილი ფრენბურთელები: ო. ანჯაფარიძე, ს. არახჩიანი, ა. ჭირაქაძე, გ. ახვლედიანი, კ. მუმლაძე და სხვ. იაკუშევმა დიდი დვაწლი შეიტანა ამ სახელოვანი კოლექტივის წარმატებაში — სსრ კავშირის თასისა და საკავშირო ჩემპიონატში პირველობის მოპოვებაში. ეს იყო 1939 წელს.

ჩვენ, ვინც მასთან ახლოს ვიყავით ცხოვრებაში თუ ფრენბურთის მოედანზე, ახლაც თვალწინ გვიდგას ლიოშა — ალექსანდრე იაკუშევი, ეს ახოვანი, გოლიათური აღნაგობის, პირმომღიმარი, მოალერსე, რუხთვალებიანი, ენერგიული და კეთილი, უწყინარი და ზრდილი, მსუბუქი იუმორისა და ხუმრობის მოყვარული ახალგაზრდა. დავუმატებ, რომ ჩვენ ყველას, ახალგაზრდა ფრენბურთელებსაც და „მოხუცთა“ — უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა გუნდების წევრებსაც, ძალიან გვიყვარდა ლიოშა.

ა. იაკუშევი სანიმუშო სპორტსმენი იყო — რამდენიმე სახეობას ფლობდა. იგი უნივერსალური ფრენბურთელი გახლდათ: სხარტი, დიდი ფიზიკური ძალისა და მაღალი ნახტომის მქონე, მაღალტექნიკური სპორტსმენი. შედეგიან თამაშთან ერთად განუზომელ ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებდა მაყურებელს. იაკუშევის ამპლუა თავდასხმა იყო. მისი ძლიერი, უყმბარისებური დარტყმა ახლაც განუმეორებელია. მაგრამ ის დაცვაშიც მეტად ძლიერი იყო, ხოლო მისი მოწოდებები — ძლიერად დარტყმული, მძაფრად ჩახვეული ბურთები თითქმის აუღებელი გახლდათ. ხშირად ასეთმა მოწოდებებმა მოუპოვა თბილისის გუნდს ბოლო ქულები საკავშირო ჩემპიონატში.

ასეთი იყო იაკუშევი როგორც ინდივიდუალური მოთამაშე. მაგრამ მას მუდამ ჰქონდა მოედანზე კოლექტივიზმის გრძნობა. იგი გუნდური მოთამაშე იყო, ესე იგი, თავისი თავის ჩვენებას კი არ ცდილობდა, სხვებსაც უქმნიდა წარმატების პირობებს, თავს არ ზოგავდა გუნდის გამარჯვებისთვის. მსაჯებთან მუდამ თავაზიანი იყო, არაოდეს ცუდად არ გამოუყენებია თავისი ავტორიტეტი, მეგობრულად და პატივისცემით ეპყრობოდა ახალბედა მსაჯებსაც კი, ხოლო მაყურებლებთან მუდამ ხასიამოვნო კონტაქტში იყო თავისი ლაღი და მხიარული ხასიათის გამო.

იაკუშევი დაუზარელი აღმზრდელი იყო. ბევრს ასწავლიდა ახალგაზრდა პერსპექტიულ თანაგუნდელებს. გვახსოვს, როგორ აძლევდა ჩუმად შენიშვნებს მოედანზე, როგორ წვრთნიდა სავარჯიშო და ოფიციალურ მატჩებში მაშინ პერსპექტიულ ახალგაზრდას გ. ახვლედიანს, როგორ ასწავლიდა მას ბლოკის დაყენებას, მის გარღვევას. გვიან ახლაც ახსოვს, როგორ ულოცავდა პირველ წარმატებებს მასწავლებელი.

ამასთან, იაკუშევი თბილისის უნივერსიტეტში, ეკონომიურ ფაკულტეტზე სწავლობდა და კარგი სტუდენტიც იყო.

ასე იყო ომის წლებამდე. შემდეგ მოსკოვში გადავიდა და თბილისში აღარ უთამაშია.

ა. იაკუშევი უკანასკნელად გორში ვნახე. იქ საქართველოს პირველობა ტარდებოდა ფრენბურთში და იგი შეჯიბრების სანახავად იყო ჩამოსული. გულთბილად შევხვდით ერთმანეთს ლიოშა, ვ. ჯაფარიძე, მე და სხვები. უკვირდა: ყველა მსაჯს მოსდისო შეცდომები. თუ შეცდომები ერთნაირია, კიდევ იოლად შეეგუები კაცი. ამ ჩემპიონატის მსაჯებს კი ყოვლად უსისტემოდ მოსდით შეცდომები, შეგუება შეუძლებელიაო. გულისტკივილს გამოთქვამდა საქართველოს კალათბურთის და ფეხბურთის გუნდებზე: მაღალხარისხოვანი კოლექტივები არიან და საკმაო ბრძოლის ჟინს კი არ იჩენენო, პირველ ადგილზე თუ ვერ გადიან, ინდიფერენტული ხდებიანო.

აღელვებული იყო, როცა გორული ჭინჭილები გვატანე მის მეუღლესთან (თბილისელია).

შემდეგ აღარ შემხვედრია.

დოცენტი გ. ჩიტაია,
გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე.

* * *

ეს სურათი 1938 წლის ივლისის მიწურულსაა გადაღებული დონის როსტოვში. თბილისის „ნაუკამ“ ეს-ესაა დაისაკუთრა I ადგილი ცენტრალური საბჭოს გათამაშებაში. თქვენ ხედავთ (მარცხნიდან): დ. შილას, ა. ჭირაქაძეს, ა. იაკუშევს, კ. ლომინაძეს, ე. რომანინს, შ. არახჩიანს, ბ. სტეპანოვსა და გ. ახვლედიანს.

14 მარტს, „იუჰანესჰოფში“

ხტოკჰოლმი, 18 იანვარი. ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი ადგილობრივ „იუჰანესჰოფში“ 14 მარტს გაიხსნება სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდების მატჩით. პირველობის ბოლო თამაში 30 მარტს გაიმართება. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და შვეიცის ჰოკეისტები.

კალათბურთი

ორი ბიოგრაფია

დამთავრდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური ტურნირის პირველი ეტაპი კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ცსკა-მ (სსრ კავშირი) დაამარცხა „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია), ხოლო „სლავიამ“ (ჩეხოსლოვაკია) — „რეალი“ (ესპანეთი.)

სხვა ორმა მატჩმა, რომლებიც სოფიასა და ლიონში მოეწყო, წარმატება სტუმრებს მოუტანა. ბულგარეთის დედაქალაქში აღგილობრივმა „აკადემიკმა“ ფარ-ხმალი დაყარა ბელგიის „რესინგთან“ 55:61 (30:31), ხოლო ლიონში საფრანგეთის ჩემპიონმა „ვილერბანმა“ წააგო იტალიის „ინისთან“ — 69:76 (33:38).

ასეთია მოკლედ ევროპის საკალათბურთო ცხოვრების ახალი ამბები. მაგრამ, ვინაიდან „ინისიცა“ და „რესინგიც“ სსრ კავშირის ჩემპიონის პოტენციური მეტოქეები არიან, თავს ნებას მივცემთ და უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ ამ გუნდების ბიოგრაფიას.

ჯერ რამდენიმე სიტყვა „ინისზე“, რომელმაც ევროპის ბოლო ჩემპიონატის წინ 5 ქულით დაამარცხა იუგოსლავიის ნაკრები. რატომ ვაძლევთ ამ ფაქტს ასეთ დიდ მნიშვნელობას, ძნელი გასაგები არ უნდა იყოს. იუგოსლავიის ნაკრებმა იმავე ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა სსრ კავშირის შემდეგ და მომავალ ჩემპიონს ორიდან ერთი მატჩი მოუგო.

იტალიის ჩემპიონის ძირითად ბირთვს ოთხი ადგილობრივი კალათბურთელი და ორი, ასე ვთქვათ, იმპორტული ვარსკვლავი წარმოადგენს. ცენტრალური თავდამსხმელი დ. მენეგინი (204 სმ) და მცველი ო. ოსოლი იტალიის ნაკრების მოქმედი წევრები არიან. პ. ვიტორი და ო. ფლამორეა დიდხანს იმავე გუნდში თამაშობდნენ, მაგრამ ახლა ისინი შემადგენლობიდან გამოიყვანეს.

იმპორტულ ვარსკვლავთაგან ერთი მექსიკელია, გვარად არაგო ნავარ მანუელი. მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში იგი თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდა და, უდავოდ, ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო. ზოგმა სპეციალისტმა ეს არც ისე ტანმაღალი კალათბურთელი ოლიმპიური ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც კი დაასახელა.

ამერიკელი რ. ჯონსის შესახებ უფრო ძუნწი ცნობები გვაქვს. ცნობილია, რომ იგი ზანგია, ქალაქ ტენესიდან, 24 წლისაა და საკმარისად მაღალი (202 სმ). ცნობილია ისიც, რომ იტალიაში გადმოსვლის წინ მან უარი თქვა აშშ-ს ერთ-ერთ პროფესიულ გუნდში თამაშზე. ამ გარემოებას ჟურნალისტები სხვადასხვაგვარად ხსნიან. ჩვენი აზრით, ყველაზე სწორი ვერსიაა ის, რომელიც „ინისის“ ბოლო გამარჯვებებს ცნობილი იტალიელი მილიონერის ჯ. ბორჯის სახელს უკავშირებს.

ბორჯიმ, რომელსაც იტალიის მილიონერთა სიაში მესამე ადგილი უკავია, თავისი ფინანსური მოსაზრებები სპორტსაც თავს მოახვია. ასე გახდა მაცივრების, სარეცხი მანქანებისა და სხვა ელექტროხელსაწყოების მეფე კალათბურთის, ფეხბურთისა და ველოსპორტის გულშემატკივარი და მეცენატი. კარგმა რეკლამამ ბორჯის შემოსავალი ერთიორად გაზარდა. სამაგიეროდ, არც მილიონერი იშურებს ფულს სპორტისთვის. იტალიელი ჟურნალისტები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ჯოვანიმ ამერიკელ ზანგს მეტი გასამრჯელო შესთავაზა, ვიდრე პროფესიულმა კლუბმა.

ორიოდე სიტყვა ბელგიის ჩემპიონ „რესინგზე“. ჰყავს თუ არა მასაც ასეთი გავლენიანი მეცენატი, არ ვიცით, მაგრამ ამ გუნდის წარსული და აწმყო საოცრად წააგავს „ინისის“ ბიოგრაფიას.

დავიწყოთ იმით, რომ „რესინგი“, თავისი იტალიელი კოლეგის მსგავსად, ორიოდე წელია აღმავლობას განიცდის. ბელგიის ჩემპიონის სიძლიერე, „ინისისა“ არ იყოს, შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც გუნდში სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე კალათბურთელები მოვიდნენ. და ბოლოს, „რესინგმაც“ ევროპის ბოლო ჩემპიონატის წინ 5 ქულით დაამარცხა იუგოსლავიის ნაკრები.

ვინ იცავს ამ გუნდის ღირსებას ადგილობრივი კალათბურთელების გარდა? ეს პირველ ყოვლისა, ჩეხოსლოვაკიელი ვ. პიშტელაკია, რომელიც ადრე ბრნოს „სპარტაკში“ თამაშობდა. მაგრამ ბელგიელთა ბოლო წარმატებების მთავარ სულისჩამდგმელად მაინც პუერტორიკოელი ტეოფილო კრუზი ითვლება. ეს არის უნივერსალური კალათბურთელი, რომელიც ერთნაირად ბრწყინვალედ თამაშობს თავდასხმაში, დაცვაში და, როცა საჭიროა, ცენტრალური თავდამსხმელის ადგილზეც.

კრუზი შეუდარებელი იყო მეხიკოს ოლიმპიურ ტურნირში. სწორედ მის დამსახურებას მიეწერება, რომ პუერტო-რიკოს ნაკრებმა პირველი ტაიმი მოუგო მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს, აშშ-ს გუნდს. ამ მოვლენას დიდი ექო ჰქონდა, ვინაიდან ოლიმპიური თამაშების ისტორიაში აშშ-ს არასდროს წაუგია არა თუ შეხვედრა, არამედ პირველი ტაიმიც კი.

ნ. გუგუშვილი.

მეოთხედფინალური ტურნირების პირველი ტურის შემდეგ

გთავაზობთ მეოთხედფინალური ტურნირების პირველი ეტაპის ცხრილებს:

„ა“ ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„რესინგი“ (ბელგია)	1	1	0	61—55	1
„სლავია“ (ჩეხოსლოვაკია)	1	1	0	78—76	1
„რეალი“ (ესპანეთი)	1	0	1	76—78	0
„აკადემიკი“ (ბულგარეთი)	1	0	1	55—61	0

„ბ“ ჯგუფი

„ინისი“ (იტალია)	1	1	0	76—69	1
ცსკა (სსრ კავშირი)	1	1	0	85—82	1
„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია)	1	0	1	82—85	0
„ვმლერბანი“ (საფრანგეთი)	1	0	1	69—76	0

ვინაიდან ჯგუფებში შეხვედრები ორ წრედ ტარდება (შინ და გარეთ), ყოველმა გუნდმა უნდა გამართოს 6 მატჩი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვლინდება ნახევარფინალის ორ-ორი მონაწილე ჯგუფებიდან. პირველი ტურის საპასუხო შეხვედრებს გუნდები 22 იანვარს ჩაატარებენ.

პეტროსიანი თუ პოლუგაევსკი?

დღეს მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, დაიწყება ტ. პეტროსიან — ლ. პოლუგაევსკის მატჩი ჭადრაკში სსრ კავშირის 1969 წლის ჩემპიონის სახელისთვის (როგორც ცნობილია, ამ მოჭადრაკეებმა შარშან ქვეყნის 37-ე ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყვეს). გათამაშდება 6 პარტია. ყაიმის (3:3) შემთხვევაში, მეტოქენი პირველ გამარჯვებამდე განაგრძობენ ბრძოლას. მატჩის განრიგი ასეთია: I პარტია შედგება 20, II — 21, III — 23, IV — 26, V — 28 და VI — 30 იანვარს.

ჩვენი ვიზიტიორები

ვინც თვალყურს ადევნებს ცნობილ დიდოსტატთა გამოსვლებს, ადვილად შეამჩნევდა ლ. პოლუგაევსკის დაწინაურებას. ეს 36 წლის ენერგიული, საკუთარ ძალაში დაჯერებული, გაუტეხელი ხასიათის მოჭადრაკე, როგორც იქნა, მსოფლიო პირველობის - ორბიტაზე გავიდა. მოსკოველი დიდოსტატი კარგა ხანია ჩვენში უძლიერესთა რიცხვში შედის, მაგრამ ჭადრაკის ქალღმერთი კაისა მას არასოდეს უღიმოდა. პოლუგაევსკი მაინცდამაინც მაშინ თამაშობდა ცუდად სსრ კავშირის ჩემპიონატში, რიცა მოჭადრაკეთა ეს ფორუმი მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირიც გახლდათ.

და აი, ნავსი გატყდა: შარშანდელ ჩემპიონატში პოლუგაევსკიმ შესანიშნავად ითამაშა და საზონათშორისო ტურნირშიც მოხვდა. რაღა თქმა უნდა, ამ წარმატებამ ფრთები შეასხა მოსკოველ დიდოსტატს. წლის ბოლოს იგი საუცხოოდ გამოვიდა ბელგრადში, „ვანთავისუფლების საერთაშორისო ტურნირში", სადაც I-IV ადგილები გაიყო.

პირველად დიდ წარმატებას პოლუგაევსკიმ სსრ კავშირის 1967 წლის ჩემპიონატში მიაღწია. აქ მან I-II ადგილები გაიყო დიდოსტატ მ. ტალთან. მაგრამ ჩემპიონის გამოსავლინებლად მატჩი არ შედგა: ტალი ბ. ლარსენთან მატჩის სათამაშოდ ემზადებოდა. ამიტომ იქრის მედალი ორივე დიდოსტატს გადაეცა. მომდევნო ჩემპიონატში პოლუგაევსკიმ კვლავ I-II ადგილები გაიყო, ამჯერად, ციმბირელ დიდოსტატ ა. ზაიცევთან. დამატებითი მატჩი მოიგო პოლუგაევსკიმ — 3,5:2,5.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი დიდი ერუდიციის, ღრმა პოზიციური აზროვნების, უზადო ტექნიკისა და მატჩის თამაშში დიდად გამოცდილი მოჭადრაკეა. მასთან ბრძოლა მუდამ ძნელია, მით უმეტეს, ახლა, როცა იგი ახალი შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდშია.

სპასკისთან მატჩის წაგების შემდეგ პეტროსიანმა დიდი შემართებით ითამაშა სსრ კავშირის 37-ე ჩემპიონატში და მალიორკის საერთაშორისო ტურნირში. დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ ისიც კი თქვა: პეტროსიანი ამ ტურნირებში უკეთ თამაშობდა, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონობის დროსო. მართლაც, ტიგრანს 39 პარტიდან ერთიც არ წაუგია, თუმცა 25-ზე მეტ გამოჩენილ დიდოსტატს შეხვდა.

რა თქმა უნდა, პეტროსიანი პოლუგაევსკისთვის უფრო რთული პრობლემაა, ვიდრე პირიქით. პოლუგაევსკის ალბათ ის აიმედებს, რომ ზედმიწევნით იცნობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის შემოქმედებას: იგი სპასკის ეხმარებოდა პეტროსიანთან მსოფლიო პირველობაზე მეორე მატჩისთვის მზადების დროს და ამ მეცადინეობამ ბევრი შესძინა.

მეტოქენი ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. ადრე პეტროსიანი სჯობდა, ახლა ძალები თითქმის თანაბარია. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ბრძოლა უმეტესადთო იქნება.

თ. გიორგაძე.

ᲓᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲣᲚ სისტემას, ბევრ ნაკლოვანებასთან ერთად, სპორტული თვალსაზრისით ერთი უაღრესად დადებითი მხარე აქვს: ყოველ ტურში ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს. ამიტომაც II ტურში ერთმანეთთან სათამაშოდ დაფებს მიუსხდნენ პირველ ლიდერები...

მეორე ქულა მოიპოვეს ბ. გოგოლაძემ (ახალციხე), ვ. ბადალიანმა (ბარნეული), ლ. ნეურონოვმა (ბათუმი), ა. რაზოვსკიმ (ქუთაისი), გ. მუკნიაშვილმა (გორი), გ. კუთარაშვილმა (გორის რაიონი) და ს. კიკილაშვილმა (ლაგოდეხი), რომელთაც შესაბამისად დაამარცხეს ტ. კობიაშვილი (საგარეჯო), მ. არჩვაძე (სამტრედია), ნ. ნაროუშვილი (გარდაბანი), მ. ძნელაძე (თბილისი), ა. თავდიდიშვილი (ქუთაისი), ა. ყურაშვილი (ბათუმი) და დ. ეკვთიმიშვილი (საგარეჯო).

რა თქმა უნდა, დიდი ინტერესი გამოიწვია გუშინწინ ᲩᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ III ტურმა.

ყაიმით დასრულდა გოგოლაძე—კიკილაშვილის შეხვედრა. ბადალიანმა სძლია კუთარაშვილს, ნეურონოვმა — მუკნიაშვილს. რაზოვსკი შეხვდა ტ. ლემონჯავას (ჩხოროწყუ), რომელსაც 1,5 ქულა ჰქონდა და დაამარცხა იგი.

ამრიგად, ბადალიანს, ნეურონოვსა და რაზოვსკის 3-3 ქულა აქვთ, გოგოლაძეს, ა. გაგუას (თბილისი), კიკილაშვილს — 2,5-2,5 ქულა, გ. შოგირაძეს (ზუგდიდი), ტ. ხარლამიდის (ქუთაისი), გ. ბიბილაშვილს (რუსთავი), ა. სუბელიანს (მესტია), მუკნიაშვილს, კუთარაშვილს, ნ. ლომაიას (ცხაკაია), ძნელაძეს, დ. გიდევანიშვილს (თბილისი) — 2-2 ქულა.



ᲜᲐᲕᲘ... ᲰᲐᲔᲠᲨᲘ

ᲨᲕᲔᲘᲪᲘᲘᲡ ეს ჩემპიონატი ძრავიანი ნავებით სტოკჰოლმის სამხრეთით მოეწყო. ბრძოლის აზარტში შესულმა პეტერ ფონ კრუზენსტიერნამ, როგორც ჩანს, ვეღარ მოზომა და თავისი „ჯოკერით" პირდაპირ ზურგზე შეახტა ქრისტერ ვესტერლინგსა და იან-ოლოვ ოჰანსონს. გულგახეთქილ სპორტსმენებს ისღა დარჩენოდათ, რომ დაუკვირვებელი მეტოქე გეფრთხილებინათ: „გეთაყვა, თუ შეიძლება, ტალღებზე იცურე, ეს ფრენაში შეჯიბრება არ გახლავს!".

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲯᲐᲠᲘ

● ᲑᲠᲔᲛᲔᲜᲘ (გფრ), 18 იანვარი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულმა გუნდმა აქ ანგარიშით 27:14 (16:9) დაამარცხა გფრ-ის ნაკრები, როგორც დპ-ს საგენტო იუწყება, „საბჭოთა სპორტსმენები დამაჯერებელ უპირატესობას ფლობდნენ როგორც თავდასხმაში, ისე დაცვაში". გაზეთი „ველტ ამ ზონტაგი" განსაკუთრებით გამოჰყოფს მაქსიმოვს (მან 9 ბურთი გაიტანა) და მახორინს (5 გოლი). ადგილობრივმა სპორტულმა დარბაზმა მხოლოდ 6 ათასი მაყურებელი დაიტია, მატჩზე დასწრების უამრავი მსურველი კი გარეთ დარჩა.

● ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 18 იანვარი. ტარტუს „კალევის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ყველას აჯობა პოლონეთის დედაქალაქის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო ტურნირში. გადამწყვეტ მატჩში მან ანგარიშით 100:88 (49:45) აჯობა ცნობილ ადგილობრივ კლუბ აზს-ს. ტარტუელებმა, ისევე როგორც შარშან, ვარშავის ქალაქის საბჭოს თასი დაისაკუთრეს. მაყურებლებმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ᲐᲛᲘᲡᲐ („კალევი") დაასახელეს. გარდა ამისა, გამარჯვებულებს გადაეცათ სამართლიანი თამაშის პრიზი.

ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲛᲔᲛᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 17 იანვარი. მოსკოველმა ფიგურისტმა ს. ჩეტვერუხინმა მეოთხე წელია ზედიზედ მოიხვეჭა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. ადგილობრივ სპორტის სასახლის ყინულზე დღეს დამთავრებულ შეჯიბრებაში მან 2087,3 ქულა (ადგილების ჯამი — 8) მოაგროვა.

ვერცხლის მედალი ერგო მოსკოვის ოლქის წარმომადგენელს ს. ვოლკოვს — 2068,5 (16), ხოლო ბრინჯაოს პრიზი — ლენინგრადელ ი. ოვჩინიკოვს—2055,7 (18).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

2045

◆ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ, 19 იანვარი. მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა ტრადიციული საახალწლო ტურნირის მატჩში ანგარიშით 4:2 დაამარცხა ტრნავის „სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია). მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: კალდერონი, ალეხანდრესი, პენია, ნუნესი, არეგალო, ისიდორო, მუნგუია, ბუსტოსი, ბორია, პერედა, პადილია. ტურნირში, აგრეთვე, მონაწილეობენ „გვადალახარა" (მექსიკა), „პარტიზანი" (იუგოსლავია) და „ბოტაფოგო" (ბრაზილია). მექსიკის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა კომისიამ გამოაცხადა თავისი ნაკრების მატჩების კალენდარი მსოფლიო ჩემპიონატის წინ. 15 თებერვალს მექსიკელები „აცტეკის" სტადიონზე ბულგარეთის ნაკრებს ეთამაშებიან, ხოლო 18 თებერვალს ამ გუნდს ლეონში შეხვდებიან. 22 თებერვალსა და 1 მარტს მექსიკის ნაკრები შვეიცის ეროვნულ ნაკრებთან გამართავს მატჩებს მექიკოსა და პუებლოში, 5 და 8 მარტს ლიმაში, ხოლო 15 და 18 მარტს მექიკოში — ბერუს ნაკრებთან.

◆ ᲚᲘᲛᲐ, 19 იანვარი. მსოფლიოს IX ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილემ — პერუს ფეხბურთელთა ნაკრებმა მხოლოდ ბოლო წუთზე დააღწია თავი წაგებას ზაგრების „დინამოსთან" ამხანაგურ თამაშში — 2:2 (1:0).

● ●

«ᲔᲕᲔᲠᲢᲝᲜᲘ» — ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘᲡ ჩემპიონატის ახალგაზრდა ლიდერი — „ევერტონი" გამოეთიშა ეროვნული თასის გათამაშებას. მან წააგო II ლიგის კლუბ „შეფილდ იუნაიტედთან" — 1:2.

● ●

ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

„ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲨᲘ ჩვენ დავამტკიცებთ, რომ შეგვიძლია წარმატებით ვებრძოლოთ ფავორიტებს", — აცხადებს მაროკოს ნაკრების ხელმძღვანელობა. სპორტული მიმომხილველები, ცოტა არ იყოს, ირონიულად შეხვდნენ ამ განცხადებას.

ამასობაში მაროკოელებმა დაიწყეს ინტენსიური მზადება. 25 იანვარს ისინი თავიანთ მინდორზე შეხვდებიან ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „სლოვანს" (ბრატისლავა), ხოლო 22 თებერვალს აქვე ეთამაშებიან ესპანეთის I ლიგის წარმომადგენელს „სევილას".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲡᲘᲐᲜᲘ ᲗᲣ ᲞᲝᲚᲣᲒᲐᲔᲕᲡᲙᲘ?

ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲡᲘᲐᲜᲘ ᲗᲣ ᲞᲝᲚᲣᲒᲐᲔᲕᲡᲙᲘ

ᲓᲣᲒᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲓ

24 იანვარს დუბნაში სტარტს აიღებს სსრ კავშირის სტუდენტ მოჭადრაკეთა ტრადიციული ჩემპიონატი. ამ ტურნირმა უნდა გამოავლინოს წევრები სსრ კავშირის იმ ნაკრებისა, რომელიც სტუდენტ მოჭადრაკეთა გუნდურ მსოფლიო პირველობაში (ისრაელი, აგვისტო) ითამაშებს.

ჩემპიონატში 16 კაცია მიწვეული, მათ შორის ჩვენი ქვეყნის სტუდენტ მოჭადრაკეთა შარშანდელი ჩემპიონი, ოსტატი თ. გიორგაძე და ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი.

ᲚᲐᲛᲐᲜᲨᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲐ

ამას წინათ თბილისს დაბრუნდა ოსტატი თ. გიორგაძე, რომელმაც ჰასტინგსის (ინგლისი) საშობაო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

— ᲰᲐᲡᲢᲘᲜᲒᲡᲘᲡ დიდოსტატ სმისლოვთან ერთად გავუმგზავრე, — გვიამბო ახალგაზრდა ოსტატმა. — სმისლოვი მთავარ ტურნირში მონაწილეობდა, მე — სათადარიგოში. წლეულს სათადარიგო ტურნირი შვეიცარიული სისტემით (9 ტური) ჩატარდა, ამიტომ მონაწილენიც საკმაოდ ბევრნი (32 კაცი) ვიყავით.

ლონდონში ჩასვლისას გავიცინდი. ბრიტანეთის კუნძულებზე გრიპის ეპიდემია მძვინვარებდა და იგი მეც მომერია. მიუხედავად ამისა, სტარტზე კარგად ვითამაშე — 5-დან 3,5 ქულა მოვაგროვე, მაგრამ მერე ჩამოვრჩი. საბოლოოდ VIII ადგილი დავიკავე. I ადგილი მოიპოვა მასპინძელმა მარკლანდმა— 7 ქულა.

გრიპს თავი მხოლოდ ტურნირის დამთავრებისას დავაღწიე. ხალისით ვითამაშე ელვისებურ ტურნირში, რომელშიც 50 მოჭადრაკე ჩაება. შვეიცარიული სისტემით 7 ტური ჩატარდა. მე 6,5 ქულა მოვაგროვე და I ადგილიც დავიკავე. II ადგილზე გავიდა ავსტრალიელი ბრაუნი, რომელმაც, სხვათა შორის, ამას წინათ საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ჰასტინგსის ფესტივალში ცნობილ ოსტატებთან ერთად მონაწილეობდნენ ქალებიც — კორდოსო (ბრაზილია) და ინგლისელი დიანა დომსონი. სხვათა შორის, დიანას ფანატიკურად უყვარს ჭადრაკი. იგი ფესტივალის ყველა ტურს თავიდან ბოლომდე ესწრებოდა.

ჰასტინგსში პირველად გავეცანი ბევრ ცნობილ უცხოელ დიდოსტატს. რა თქმა უნდა, ვგულშემატკივრობდი სმისლოვს, რომელმაც საბოლოოდ მხოლოდ IV ადგილი დაიკავა.

ფესტივალი შესანიშნავად იყო ორგანიზებული.

ᲞᲠᲘᲖᲘ — Ა. ᲒᲚᲐᲒᲘᲫᲔᲡ

ვ. გოგლიძის მემორიალის დღეებში რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზის ფოიეში მაყურებლებისთვის მოეწყო ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატთა საკონკურსო სეანსები.

რესპუბლიკის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის პრიზი მოიპოვა ოსტატმა ა. ბლაგიძემ. მან ყველაზე უკეთ ჩაატარა სეანსი: 13 დაფაზე 12,5 ქულა მოაგროვა, რასაც 1 საათი და 43 წუთი მოანდომა.

მეორე იყო ვეტერანი ოსტატი მ. შიშოვი, რომელმაც გამარჯვებულზე რამდენიმე წუთით მეტი მოანდომა სეანსს.